

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №5

თბილისი

29 მაისი , 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: კახი ყურაშვილი, მაკა სალხინაშვილი, თამარ ჩიტოშვილი; ასოც. პროფესორები დავით გეფერიძე, გიორგი თუმანიშვილი, ასისტენტ-პროფესორი ლევან მახარაშვილი, ანასტასია აბაიაძე; უფრ. მასწ. არჩილ ლორია, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; სტუდენტები: სოსო მაზმიშვილი, სალომე ფაცაცია, მაია გრძელიშვილი .

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ავთანდილ გიორგაძისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია სამართლის ფაკულტეტის 2010 წელს დამამთავრებელი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შექმნისა და დამტკიცების შესახებ. პროფ. კ. ყურაშვილმა აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატები წარმოადგინა შემდეგი შემადგენლობით:

- ა) პროფ. კ. ყურაშვილი
- ბ) პროფ. მ. სალხინაშვილი
- გ) პროფ. თ. ჩიტოშვილი
- დ) ასოც. პროფ. დ. გეფერიძე
- ე) უფრ. მასწ. ნ. ნიჟარაძე.

2. მომხსენებელმა კ. ყურაშვილმა აგრეთვე, ისაუბრა იმის შესახებ, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს გიორგაძე ავთანდილს 2009 წლის 3 სექტემბრის №45/05 ბრძანებით შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. მას სწავლების პერიოდში მოგროვებული აქვს 230 კრედიტი და დაამუშავა სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომის თემაც (10კრედიტი). საჭიროა სხდომამ განიხილოს ა. გიორგაძისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი.

აზრი გამოთქვას : ასოც. პროფესორმა გ. თუმანიშვილმა , უფრ. მასწ. ა. ლორიამ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:


1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საფაკულტეტო კომისია 2009–2010 სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

- ა) პროფ. კ. ყურაშვილი
- ბ) პროფ. მ. სალხინაშვილი
- გ) პროფ. თ. ჩიტოშვილი
- დ) ასოც. პროფ. დ. გეფერიძე
- ე) უფრ. მასწ. ნ. ნიჟარაძე;

- 2. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს ავთანდილ გიორგაძეს;
- 3. ეთხოვოს თჰუ რექტორს სამართლის ფაკულტეტის საბჭოს ამ გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა
- 4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი:



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე